# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 166 სამშაბათი, 28 ივლისი 1909 წ. № 166

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] მცირე წერილები და კორესპონდენციები [illegible] ნება. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## პოლიტიკური ეკონომია

ა. ბოგდანოვი

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხსენებული წიგნის შეძენა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი აგენტებთან. ვ. გადილია.

ექიმ ვ. ლამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—16)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტუეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნაკი, სიფილისი, სამარცხვ მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—ვვ.—22)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი. N 9. (უ)

ახლად გახსნილი ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. ზ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—118)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—205)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—68)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზურალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კაკითელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდაი ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—27)

**ექიმი** ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—21)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭავაძისა. (100—ხალ.—1)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 121.

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიზერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—17)

ქუთაისის ქალთა მთავრობის

### გიმნაზია

(მესხეთის ქუჩა)

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1, 2, 3, 4, 5 და 7 კლასებში (მეექვსეში ვაკანსია არ არის) და განმეორებით ეგზამენები ყველა კლასში მოხდება 20-დან 31 აგვისტომდე.

თხოვნები შესაფერ დოკუმენტებით მიიღება მხოლოდ 19 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. დაწვრილებით ნუსხის ნახვა შეიძლება ქალთა გიმნაზიის შენობაში. პირველ აგვისტოდან. (3—6.—1)

ქუთაისის მთავ. ვაჟთა

### გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეხუთე და მეექვსე კლასებში და განმეორებითი ეგზამენები გიმნაზიის ყველა კლასში მოხდება 21-დან 31 აგვისტომდე. დანარჩენ კლასებში ჯერ-ჯერობით არა სჩანს, რომ ვაკანსიები იყოს.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება 18 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებით ნუსხა ეგზამენებისა მსურველს შეუძლიან ნახოს გიმნაზიის კანცელარიაში ამა წლის 1 აგვისტოდან. (3—6.—2)

### ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ იმათ, ვისაც სურთ მოსწავლენი აიყვანონ ოჯახში, უნდა თხოვნა შეიტანონ დირექტორის სახელობაზე და თან წარადგინონ სათანადო მთავრობის მოწმობა თავიანთ პოლიტიკურ საიმედობის და კეთილ ზნეობის შესახებ. (3—6.—2)

### იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს**. (50—6.—17)

ტფილისის ქალაქის

### გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახალხო სახლის ხოროსა და ორკესტრში (ეხლა სდგება), მიმართონ სახალხო სახლის სამუსიკო ნაწილის გამგეს იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვს (ელისაბედის ქ., № 40.

მიღება ყოველ დღე, საღამოთი 6—7 ს. (3—6.—3)


## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

27 ივლისი

### სპარსეთი

**თეირანი**. ჩამოვიდა პრინცი ზილი-სულთანი.

შირაზის გუბერნატორად დაინიშნა დიუდ-დოულე.

**თეირანი**. ჯულფა-თავრიზის გზაზე, სოფლებში სათარ-ხანი ცხენოსნებს აგროვებს და სცარცვავს შეძლებულ ხალხს. ამათ სათარ-ხანი აბრალებს გადაყენებულ შაჰის მომხრეობას.

დაინიშნა პარლამენტის დეპუტატების არჩევნები.

**თავრიზი**. სათარ-ხანის ცხენოსნებმა, რომელნიც სოფლებსა სცარცვავენ, დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს თავრიზის გზის ერთი მუშა. მუშის გასანთავისუფლებლად გაიგზავნა ყაზახის რაზმი, რომელსაც ცხენოსნები სროლით დაუხვდნენ. ყაზახებმა პასუხი გასცეს. სათარ ხანის სამი ცხენოსანი მოჰკლეს, შვიდი დასჭრეს. ყაზახებს მოუკლეს ერთი ცხენი. დაჭრილი მუშა გაანთავისუფლეს. გზის დამცველ რაზმის გასაძლიერებლად გენერალმა სნარსკიმ მარანდაში გაჰგზავნა ერთი როტა ჯარი და ორი ტყვიის-მტყორცნელი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი**. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი თალაათ-ბეი, ახალგაზრდა ოსმალო.

**სტამბოლი**. გარეშე საქმეთა მინისტრ რიფაათ-ფაშას ესაუბრა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი. რიფაათ-ფაშამ საბერძნეთის შესახებ, სხვათა შორის, სთქვა: ჩვენ საბერძნეთს მარტო შეკითხვით მივმართეთ, რადგან გვინდოდა გაგვეგო, რა აზრისაა და რა ადგილი უჭირავს მას კრიტეს საკითხში. ამრიგად, საბერძნეთისათვის ჩვენ ულტიმატუმი არ წარგვიდგენია. თუ საქმე ცუდად წავიდა, ჩვენი ელჩი დროებით წამოვა საბერძნეთიდან, მაგრამ ეს მოსალოდნელი არ არის, რადგან საბერძნეთმა უკვე განაცხადა, მეგობრობის მეტი არა გვინდაო. ოსმალეთს სურს მხოლოდ, რომ საქმის ვითარება გამოირკვეს.

**კანეა** (კრიტე). ციხეზე კრიტეს დროშის მაგიერ, გამოკიდებულია დროშა, რომელზედაც გამოსახულია თეთრი ჯვარი უგვირგვინოთ.

**სალონიკი**. ათ ივლისის მოედანზე გუშინ მოხდა დიდი მიტინგი კრიტეს საკითხის შესახებ. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს ვილაეტის ყველა ქალაქის დეპუტაციამ. მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად არის გაკიცხული მთავრობის გაუბედავი პოლიტიკა და სახელმწიფოთა მოქმედება. რეზოლიუციაში ნათქვამია აგრეთვე სიცოცხლეს შევწირავთ ოსმალეთის უზენაესს უფლებების დასაცველადაო.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი**. ვოლფის სააგენტოს ჟენევიდან ატყობინებენ: 31 აგვისტოს მოხდება ეგვიპტელ ახალგაზრდობის კონგრესი. კონგრესის მიზანია, გაანთავისუფლოს ეგვიპტე ინგლისელების გავლენისაგან და შემოიღოს კონსტიტუციონური მართველობა.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს ტოკიოდან ატყობინებენ: თუმცა ჩინეთი წინააღმდეგია, მაგრამ იაპონიამ მაინც გადასწყვიტა, გადააკეთოს ანდუნ-მუკდენის რკინის გზა. 26 ივლისს უკვე შეუდგნენ მუშაობას. ანდუნ-მუკდენის რკინის გზაზე რამდენიმე ასი ჩინელი სალდათი სდგას. სამხედრო სამინისტრო ირწმუნება, ყოველ შემთხვევისთვის მზადა ვართო. გადაწყვეტილია, რაც უნდა იყოს, გზა გადააკეთონ.

**იოკაგამა**. 25 ივლისს იაპონიამ ჩინეთისათვის ულტიმატუმი უნდა წარედგინა. საქმის ვითარება სერიოზულია.

**ტოკიო**. როგორც გამოირკვა, იაპონიას ჩინეთისთვის ულტიმატუმი არ გადაუცია. იაპონიამ ნოტა გაგზავნა. ნოტაში ნათქვამია, რომ იაპონია ამის შემდეგ ანდუნ-მუკდენის რკინის გზის საკითხში დამოუკიდებლად იმოქმედებსო.

**მურმელონი**. 25 ივლისს დილით ზომერი ჰაერო-პლანით გაფრინდა. ზომერმა ჰაერში იფრინა 2 საათს 27 წუთს. ამდენ ხანს ჯერ არავინ დარჩენილა ჰაერში.

**სტოკჰოლმი**. სრულიად შვეციის სტამბების მუშათა კავშირის კომისიამ დაადგინა, წინადადება მისცეს ყველა სტამბის მუშებს, გაიფიცნენ, გაიფიცებიან სოციალ-დემოკრატების ორგანოების სტამბის მუშებიც.

**სტოკჰოლმი**. მთავრობამ გამოსცა მოწოდება ხალხისადმი. მოწოდებაზე ხელი უწერიათ მეფესა და შინაგან საქმეთა მინისტრს. მოწოდებაში ნათქვამია: "ცირე უთანხმოებამ, რომელიც ჩამოვარდა მუშებსა და სამუშაოს პატრონებს შორის და რომელსაც შედეგად მოჰყვა მუშაობის შეჩერება, მეტად მწვავე ხასიათი მიიღო; მრეწველობას დიდი ზარალი მოუვიდა. ყველა პარტიას უნდა განკერძოებით იბრძოლოს, მაგრამ არავინ არ უნდა დაივიწყოს, რომ მოლაპარაკების მშვიდობიანად დაბოლოვება გაძნელებულია ეხლა, როდესაც უფლება შელახულიაო.

**ლონდონი**. რეიტერს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან: აიგუნში მოქმედება დაიწყო ჩინეთის საზღვაო დამოჟნამ. ამის გამო რუსის ელჩმა პროტესტი განუცხადა ჩინეთის მთავრობას. მან სთქვა, რომ ამ რაიონში ბაჟის დაწესება არღვევს აიგუნის ხელშეკრულებას და პეტერბურგის შეთანხმებასაო.

### რუსეთი

**ოდესა**. ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ასარჩევად ჩელ-ახლად იქმნას შედგენილი საარჩევნო სიები. ამას გარდა საბჭო იშუამდგომლებს, რომ ებრაელებს უფლება არ ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

**პეტერბურგი**. ადმინისტრაციის განკარგულებით ხუთას-ხუთას მანეთით დააჯარიმეს „რეჩი"-ს და „სოვრემენოე სლოვო"-ს რედაქტორები. ამ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები ამ სათაურით: „თვით-მკვლელობანი ჯარში".

**მინსკი**. ბარანოვიჩებში პოლიციას შეტაკება მოუხდა სამ ბოროტ-განზრახველთან. ბოროტ-განზრახველებმა დასჭრეს ჟანდარმი. პოლიციამ დასჭრა და მოკლა 2 კაცი, მესამემ თავი მოიკლა. ამას გარდა, შემთხვევით დაიჭრა სამი კაცი.

**ტვერი**. დაიწვა დუბოვის თოკების ქარხანა.

**კიევი**. რამდენიმე სალდათი სამხედრო სამართალში მისცეს. ამათ ჰბრალდებათ 170 კარვის მოპარვა.

### ხოლერა

**პეტერბურგი**. 25 ივლის ხოლერით ავად გახდა 20, გარდაიცვალა 6, ავად არის 436 კაცი.

**არხანგელსკი**. ავად გახდა 4 კაცი: ონეჟსკი მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5 კაცი.

**ვოლოგდა**. ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 67, გარდაიცვალა 54 კაცი.

**ეკატერინებურგი**. პერმში ავად გახდა კიდევ ერთი კაცი.

**ნოვგოროდი**. გასულ კვირაში გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი: მაზრაში ავად გახდა 1 კაცი.

**ტვერი**. 24—25 ივლისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1 კაცი.

**იაროსლავლი**. ქალაქში ავად გახდა 1 კაცი; რიბინსკსა და მის მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4 კაცი.

**პეტერბურგი**. 26 ივლისს ხოლერით ავად გახდა 27, გარდაიცვალა 14, ავად არის 425 კაცი.

**იაროსლავი**. რიბინსკში ავად გახდა სამი კაცი. სენის გაჩენიდან დღემდე ავად გახდა 92, გარდაიცვალა 41 კაცი.

**ტვერი**. ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ვილნო**. დისნის მაზრის ოთხ სოფელში ავად გახდა ხუთი კაცი.

**არხანგელსკი**. კამში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5 კაცი.

## გაზეთ „დროების" რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ, მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩემს შენიშვნას ბ-ნ ან. ფურცელაძის უკანასკნელ წერილის გამო.

საზოგადოების ცხოვრებაში დადგება ხოლმე იმისთანა დრო, როცა გაჩუმება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობ, რომ ბ-ნ ან. ფურცელაძის უკანასკნელ წერილის უპასუხოდ დატოვებაც დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ჩვენის საზოგადოების ყოველ შეგნებულ წევრს. მან მოიქმედა ისეთი რამ, რაც საზოგადო მოღვაწეს არ ეპატიება. ბ-ნი ანტონ ფურცელაძე კი განგებ, სრულებით შეუგნებლად, გაუგებარის მიზნის მისაღწევად, ამახინჯებს ფაქტებს, გზას უხვევს სიმართლეს და უცნაურ სიყალბეს აწვდის რუსის საზოგადოებას, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს გაზ. „დროებისა" და მისი წინამორბედების მიმართულებაზე.

თერთმეტი წელიწადია თქვენი მკითხველი ვარ და სწორედ იმიტომ თანაგიგრძნობდით, რომ თავიდან აიშორეთ შეცდომა, რომელსაც თავს გახვევთ დღეს ბ-ნი ან. ფურცელაძე. გაზ. „ცნობის ფურცლიდან" დაწყებული დღემდის თქვენ ხაზ-გასმით ლალადებთ ერთა სოლიდარულ მოქმედების საჭიროებას, სიამოვნებით აწვდიდით ხელს ყველა ეროვნების პროგრესიულ ელემენტებს ერთად სამოქმედოთ; თქვენი ზრუნვა სავსებით მიმართული იყო იქითკენ, რომ ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტაში დაგეცვათ ყველა ეროვნების უფლებანი. დღეს კი ან. ფურცელაძე გიკიჟინებთ უკიდურეს შოვინისტობას, თუმანოვების, ხუდადოვების და სხვათა გაძევებას. გამოდის, რომ ერთა სოლიდარობაზე ლალადი და ნაციონალურ (და არა ნაციონალისტურ!) უფლებების დაცვა შოვინისტობა, კაცი-ჭამიობა ყოფილა! აგრე ამბობს ბ-ნი ანტონ ფურცელაძე,—ამბობს და განგებ ამახინჯებს ფაქტს, რადგან ბ-ნმა ან. ფურცელიძემაც კარგად იცის, რომ იგი ვერ მიგითითებთ თქვენი გაზეთის ვერც ერთ ნომერზე და ვერ დაამტკიცებს მისმიერ მომართულ ცილის-წამებას.

ვერ გამიგია, რამ აიძულა ბ-ნი ან. ფურცელაძე ასე მოქცეულიყო? ნუ თუ არ იცის, რა სახელი აქვს საზოგადოებაში იმის საქციელს?!

ვ. მ.

## რაფაელი გავიხსენეთ

კარგი სალამო გავატარეთ ბ-ნ ვ. კახიძისას. გაგვიმასპინძლდნენ: ჩაი, ტკბილეული, ხილეული, თითო ჭიქა კახური. გაიმართა საუბარი საჭირ-ბოროტო საქმეებზე, გადიშალა ზოგადი საკითხების ჭრელი ბოლჩა. შევეხეთ მწერლობას.

დიასახლისმა, რაფაელ ერისთავის ქალმა, ანასტასიამ, მოგვითხრო რამდენიმე საყურადღებო ამბავი რაფაელის კერძო ცხოვრებიდან. გადავედით იმის ნაწერებზე. ბალღებმა ეშხიანად წაგვიკითხეს თავიანთ პაპის ლექსები. მოვიგონეთ მისი დიდებული იუბილეი, მისი მეფური დასაფლავება. გავხედეთ მის ობლად დარჩენილ საფლავს მივარდნილ კუთხეში. როცა ვასაფლავებდით, გვკითხეს, ტფილისში დავმარხოთ, თუ თავის მამულშიო. გადავსწყვიტეთ თავის სოფელში დაგვესაფლავებინა, რადგან გვეგონა, ხალხი შეგნებულად აფასებს ამ ახალ წყობის წმიდანებს და თაყვანის საცემელ ნიშნად გაიხდიდა მის საფლავს. მოვსტყუვდით: დავიწყებულია სამარე, ქვაც კი არა ძევს. ნუ თუ შემდეგებს რაფაელის სამარეც ბარათაშვილის სავანესავით საძებნელი გაუხდებათ?!.

ვიდარდეთ იმაზედაც, რომ მისი თხზულებები და ყველა მისი ნაწერი არა გვაქვს ერთად დასტამბული, რომ ადამიანს შეეძლოს შეისწავლოს ეს ისტორიული პირი. აქ გამოირკვა, რომ ბევრი მისი ნაწერი და დიდ-ძალი მასალა მის პიროვნების შესახებ ჯერ არ არის თავმოყრილი და დაცული. იგი ნიავდება და იფანტება.

მეტიც გამოირკვა: დიასახლისი შევიდა და გამოგვიტანა ერთი იღლია ნაწერი, მძიმედ შეხვეული და დაშარტული, გადავშალეთ. ლექსიკონი აღმოჩნდა, ა-დან ჰ-დის დამთავრებული. რომ დაისტამბოს, ჩუბინაშვილის დიდი ლექსიკონის ტანისა დადგება. გავსინჯეთ: ქართული სიტყვაა ანბანზე დაწყობილი და ქართულადვე ახსნილი. ზოგიერთი რუსულადაც არის ახსნილი. ბევრ სიტყვას იქვე აქვს საჩვენებელი, თუ საიდან ამოუღია მკვლევარს იგი სიტყვა. აქ მოხსენებულია დიდ ძალი თხზულება სამღთო თუ საერო.

დიდი შრომაა დაღვრილი. ბევრი ახალი სიტყვა ვნახეთ საიშვიათო. ბევრი სიტყვა აღმოჩნდა პროვინციებიდანაც შემოტანილი. რა ძვირფასი განძია, მეტადრე ეხლა, როცა მოთხოვნილება დიდია, ჩუბინაშვილის ლექსიკონი კი ველარ გვაკმაყოფილებს! ეს ძვირფასი შრომა დამთავრებულია და დასასტამბად შემზადებული, მაგრამ სად არის მდილიანი ადამიანი, რომ გამოსცეს?!. ვინატრეთ ფული, დიდი თანხა ვინატრეთ ამგვარ წმიდა საქმეებისთვის. აფსუს, რომ ნატვრით მოჭრილ ფულს ბაზარში გასავალი არა აქვს!

ვ. ბარნოვი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ხუთი კაცის მოკვლა.** 19 ივლისს განჯის გუბერნიაში ყლაცეები თავს დაესხნენ ფოსტას. უცნობებს მდევარი დაადევნეს. როგორც პეტ. დეპ. სააგენტო გადმოგვცემს, სოფ. კიპიგდიმნის მახლობლად, მდევარი დასდევნებია თავდამსხმელთ და სროლაში მოუკლავთ ხუთი. ხუთივე ქართველი გამომდგარა.

✦ **მოუსავლობა.** როგორც ქართლიდან იტყობინებიან, წრეულს ძალიან ნაკლები მოსავალი ყოფილა. ნაკლებადაა საქონლის საკვებიც—ბზე. გლეხები ძალიან დაღონებულნი არიან.

✦ **მადნები.** როგორც გავიგეთ, საცხიანოში მადნებს ინჟენრები უკვე იკვლევენ და მალე დაამთავრებენ საქმეს. ინჟენრებს მოსწონებიათ მადნები.

✦ **უფასოდ წყალი ჯარს.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სამხედრო სამინისტროს აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ კავკასიაში ქალაქის თვით-მმართველობებმა უფასოდ მისცენ ხოლმე წყალი ჯარს.

✦ **ძალ-მომრეობა.** როგორც „ნოვ. ტიფ.“ გადმოგვცემს, 23 ივლისს ყვირილაში ადგილობრივ ბოქაულის კანცელარიაში რამდენსამე სტრაჟნიკს შეუთრევია ერთი ქალი და მისი გაუპატიურება განუზრახავს. მამა ქალისა სხვა ოთახში დაუმწყვდევიათ. ქალს ყვირილი დაუწყვია, შესულან გარეშენი და გაუნთავისუფლებიათ. ექიმ ნადირაძეს ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნია გუბერნატორთან.

✦ **ახალი საკომერციო სასწავლებელი.** ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ნება დართო საკომერციო განათლების განმავრცელებელ საზოგადოებას 1 სექტემბრიდან დაარსოს ტფილისში რვა კლასიანი საკომერციო მასწავლებელი და სავაჭრო სკოლა. ამ საკომერციო სასწავლებლების მეოთხე კლასში უეგზამენოდ, ატესტატების კონკურსით მიიღებიან სამოქალაქო სასწავლებლებში (1872 წლის) და სავაჭრო სკოლებში სწავლა-დამთავრებულნი. თხოვნებს იღებენ საზოგადოების კანცელარიაში (1 თუმანოვის ქუჩა, № 13).

✦ **სახალხო სიმღერები.** როგორც გავიგეთ, ბ-ნი ალ. კავსაძე მარიამობისთვის პირველ რიცხვებში მიემგზავრება გურიაში ადგილობრივ სიმღერების შესაკრებად. მოივლის ლანჩხუთს, ხიდისთავს, ჩოხატაურს, ოზურგეთსა და ყვირილას. აღნიშნულ დაბებში კონცერტებსაც გამართავს.

✦ **უვარგისი ნესვები** 25 ივლისს არბუზნი ქუჩაზე ადგილობრივმა სასანიტარო ექიმმა გასინჯა საზამთროები და ნესვები. საზამთრო და ნესვი 70 ურმით ჩამოიტანეს ტფილისის მაზრის გლეხებმა. სასანიტარო ექიმის განკარგულებით, გადაჰყარეს 550 ცალი ნესვი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** 30 ივლისს ქართულ საზაფხულო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა და სეირნობა. წარმოადგენენ „არც აქეთ, არც იქით“. პროგრამა მეტად საინტერესოდ არის შედგენილი, წარმოდგენას და სეირნობას საქველმოქმედო აზრით მართავენ.

✦ **ქარხნის დაწვა.** „კასპი“ გადმოგვცემს, 24 ივლისს ბაქოში სულ მთლად დაიწვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის შპალების ქარხანა.

✦ **ხმები.** „ივერია“ სწერს: „გაზ. „ზაკავკაზიე“, როგორც ამბობენ, იკეტებაო. მისი რედაქტორ-გამომცემელი თავ. გ. ი. ამირაჯიბი პეტერბურგში მიდისო“.

✦ **გარყვნილება.** კანონირნის და რაკეტნი ქუჩების და ირტილერიის ბალკის მცხოვრებთ საჩივარი შეიტანეს გუბერნატორთან. თურმე აქ ახალგაზდა და ბებერი როსკიპი ქალები ცხოვრობენ. გარეთ სახლების წინ ნახევრად ტიტვლები გამოდიან თურმე და გამვლელ-გამომვლელთ იწვევენ. ხშირად ბავშვებსაც ატყუებენ. ამას ყველა ჰხედავს. მეძავი ქალები გოლოვინის პროსპექტზედაც გამოდიან ცირკთან და გინეპენის პროჟექტორთან და აქ კაცებს ან ბავშვებს ეძებენ. რაკი აქ ხშირია მეძავი ქალები ამიტომ პატიოსან ქალს აქ არ გაევლება, მთვრალი კაცები პატიოსან ოჯახებშიაც ცდილობენ ღამ-ღამეობით შესვლას, ჰგონიათ აქაც მეძავი ქალები ცხოვრობენო.

✦ **პოლიცმეისტრად ნამყოფი სამართალში.** ქუთაისის პოლიცმეისტრად ნამყოფი ზუბოვი სამსახურში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათათვის სამართალში მიუციათ. საქმე 5 სექტემბერს გაირჩევა (ნ. ტ.)

✦ **უპასპორტოები.** 25 ივლისს ამაღლების ქუჩაზე დააპატიმრეს 11 უპასპორტო კაცი.

✦ **ეგზეკუცია.** 14 ივლისს ადმინისტრაციას ჯუმათში (გურია) ეგზეკუცია გაუგზავნია. მიზეზი ს. გიგინეიშვილის მოკვლაა. დაუპატიმრებიათ 30 კაცი. (ნ. ტ.)

✦ **მკვლელობა.** 25 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, პეტრე-პავლეს და კონსტანტინოვის ქუჩების კუთხეში, ოთხმა ბოროტ-განმზრახველმა რევოლვერით მოჰკლა ყაზახის მაზრის მცხოვრები პეტრე სტეფანეს ძე ტერ-ნაკანოვი (19 წლისა), კალატოზი. რევოლვერების ხმაზე გაჩნდნენ ბოქაული, მისი თანაშემწე და პოლიციელები და შეჰკრეს ახლო-მახლო ქუჩები. ბოროტ-განმზრახველები გაიქცნენ, პოლიციელებმა რევოლვერები ესროლეს და გააჩერეს. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ რაჭის მაზრის მცხოვრები ივანე ნიკოლოზის ძე დარახველიძე (ტრაქტირის მოსამსახურე). ტფ. მოქალაქე კარაპეტ ავეტისის ძე პაპინოვი, სოფელ გლდანის მცხოვრები სარქის ესტატეს ძე კირიმიანცი და ტფილისის მოქალაქე ვასილ ზაქარიას ძე კვირიკიძე. დაპატიმრებულებს იარაღი არ აღმოაჩნდათ. ჰფიქრობენ, რომ მათ მკვლელობის შემდეგ გადაჰყარეს იარაღი. მხოლოდ ერთს უპოვეს ბრაუნინგი და ექვსი პატრონა. როგორც გამოირკვა, მკვლელობა კერძო ნიადაგზე მომხდარა.

✦ **ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი.** როგორც ვწერდით, ეგზარხოსის მოადგილეს, ბაქოს ეპისკოპოს გრიგორის რუსეთში გადაიყვანენ და მთავარ ეპისკოპოსად დანიშნავენ. „კასპის“ სიტყვით, გრიგორის ადგილზე, ბაქოს ეპისკოპოსად დანიშნავენ ტფ სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ პიმენს.

✦ 26 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა ივანე სტუპენკინი. სტუპენკინი ადმინისტრაციის განკარგულებით ბორჩალოს მაზრაში იყო გაგზავნილი. ბორჩალოს მაზრიდან ტფილისში სტუპენკინი თავის ნებით ჩამოსულა.

—

**შეცდომის გასწორება:** წარსულის კვირის ნომერში ი. ევდოშვილის ლექსში „დღიურს“ ბოლოდამ მეცხრე და მეათე სტრიქონ შუა გამოტოვებულია ერთი სტრიქონი. უნდა იყოს: „ზოგგან დემონის ხარხარი“.

# პატარა ფელეტონი

## ჩემი მოციქული

სატრფოსა ვჭვრეტდი შორ-ახლოს
ჩემზე შუბლ შემობურვილსა,
დიდხანს ვეძიე მიზეზი
და ვერ მივუხვდი სურვილსა!..

—

ეტრატზე კრძალვით დავხატე,
ვით ანგელოზი ფრთოვანი,
შევამკე, შევაელფერე
შუქოსან-ჰაეროვანი,
ქვეშ მოვაწერე სიტყვები
რჩეული, ფერადოვანი
და გაბედულად წარვუდექ
რაღაც გულ-იმედოვანი!..

—

გადმოიხედა პირი-მზემ,
ხელით მანიშნა: „არაო,
სიტყვებსა სურათ-ხატულსა
მიძღვნიან წარა-მარაო!..“

—

ია და ვარდი დავკრიფე,
შევკარი თაიგულათა,
უცხო და უცხო მცენარე
დავკინძე სამკაულათა,
ვარსკვლ-ვით ციმციმი დავურთე
და ბადრი მთვარე—სრულათა:
მივუძღვენ ჩემი გრძნობების
გამომთქმელ მოციქულათა.

—

შორით მანიშნა გრძნეულმა:
„ნუ თუ გგონივარ პავშიო!—
ყვავილის მეტი რა არის
ჩვენს ტურფა ქვეყანაშიო?!-“

—

ჩუხჩუხა წყაროს ცრემლებში
განჭვრეტდი ცისარტყელასა,
შიგ ამოვავლე მზის თვალი—
ის ვამჯობინე ყველასა;
ოქროში ჩავ'ვი, ციმციმით
გაანათებდა ბნელსა:
მივართვი, ამით ვეღოდი
უკანასკნელად შვებას.

—

წყრომით მანიშნა: „უგნურო,
რისთვის მიკიცხავ აკვანსო?—
ლითონსა ცივს და უსულოს,
აბა, როგორ ვსცემ თაყვანსო?!.“

—

გულსა ავხადე სარქველი,
სატრფოსგან ნაციმციმები,
ბუდით ამოხდა ობოლი,
მაშვრალი, ნატვირთ-მძიმები,
შევუწყე, მასზე მოვმართე
ჩემი ჩანგურის სიმები,
კვლავ დავაპკურე ცრემლები,
ზედ ხშირად დანაწვიმები!..
ჩანგმა დაჰკვნესა: „სატრფოო,
ვითა წვლილი რამ მცირეო,
ეს გული, შენთვის ტანჯული,
მიიღე, შეიწირეო!“

—

შუბლი გაიხსნა ტურფამა,
ელვარეთ გადმოანათა,
ზეცას შესტყორცნა სხივები,
მნათობებს შეუკამათა!..
„გიხაროდენი“ გადმომცა...
მით განვლო განცდის ჟამმაცა,
სული შთამბერა ცხოველი
და მკლავნი გამიმაგაცა!..
ტრფიალის ხმაზე გულიცა
აწ აღარ იშლის გულობას,
მას ვანაცვალებ პირველთა
ამაო მოციქულობას!..

დ. თომაშვილი.

# მოწერილი ამბები

**ზუგდიდი.** ხშირად მიხდება ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში ყოფნა. მრავალი ადგილი მივლია ქუთაისის გუბერნიაში და ყველგან ერთგვარად არა სასიამოვნო სურათი დამდგომია თვალწინ. საოცარი გვალვა, აუტანელი სიცხეები, უდროოდ შეყვითლებულ-შემჭკნარი ჭირნახული. გადის მთელი ზაფხული და ბევრგან წვეთი ცვარი დედამიწას არ დაჭკურებია. ამ უკანასკნელ დღეებში ზოგ ადგილას, მაგალითად, სამტრედია—ახალ-სენაკში 50% სიცხე იდგა. იმერეთის მთა-გორაკიან ადგილებში სიმინდს უდროოდ დღე მოუსწრავდა. ბევრგან სიმინდი უბრალო ჩალადაც არ გამოდგება, ისეა უფოთლოდ მომწვარი. ბარ ადგილებში ალაგ-ალაგ თუმცა ჭირნახულს კიდევ უდგა სული, მაგრამ თუ დღეს-ხვალ ბუნებამ წვიმა არ არგუნა, ეს ადგილებიც მოიმუშება.

# რა შეუძლიან შეკავშირებას *)

ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების მოთხოვნილება ჩვენში თან და თან იზრდება, ფასიც მატულობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწარმოებელს, გლეხს, მოგება არაფერი რჩება, რადგან იგი გაჭირების და მოუწყობლობის გამო, იძულებულია ნაწარმოები ჩალის ფასად მიჰყიდოს ან ადგილობრივ მედუქნეს ან და მოსულ ჩარჩს, ესენი-კი არ არიან დაინტერესებულნი, რომ მწარმოებელს აუყენონ ნაწარმოების დანახარჯი მაინც. მათი ინტერესი ერთია—ჯიბის გასუქება. ამ მისწრაფებას ზედ ერთვის მათი ვაჭრული უკულტურობა.

ასეთ მდგომარეობაშია, სხვათა შორის, კვერცხის ვაჭრობის საქმე. დასავლეთ ევროპაში მეურნეებმა დიდი ხანია შეიგნეს ამ მდგომარეობის უხეირობა და მოუარეს კიდეც გაჭირებას: დაიარსეს საგანგებო „საკვერცხე ამხანაგობანი“, რომელნიც საუცხოვოდ გაუძღვნენ კვერცხის ვაჭრობის საქმეს. ჩვენში კვერცხის ვაჭრობას მცირე მნიშვნელობა არა აქვს. ქუთაისის გუბერნიიდან დიდ ძალი კვერცხი გააქვთ საზღვარ-გარედ, რუსეთში და თვით საქართველოს ზოგიერთ ქალაქში კვერცხის ვაჭრობა მთლად კერძო პირთა—ჩარჩ-ვაჭრების ხელშია, რომელთაც ლამის არის სულ მუშტარი დაუკარგონ ჩვენს ნაწარმოებს საზღვარ-გარედ. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა ჩვენმა გლეხობამაც მიმართოს საერთო ძალას, ამხანაგობას და საამხანაგოდ მოაწყოს კვერცხის ვაჭრობა.

ეგრედ წოდებულ საკვერცხე ამხანაგობებს საძირკველი ჩაუყარა ისევ პაწია დანიამ. 1894 წლიდან იწყო სოფლის ორმა მასწავლებელმა ხალხში იმ აზრის ქადაგება, რომ საჭიროა ვაჭარ-ჩარჩების თავიდან მოცილება და კვერცხის შეგროვების და გასაღების წესის გაუმჯობესობა. რადგან ადგილობრივი ჩარჩვაჭრები სულ არა ზრუნავდნენ, რომ მუშტრისათვის კაი საქონელი მიეწოდებინათ. დანიურ კვერცხს, მათის მეოხებით, ისეთი კარგი მუშტარი ეკარგებოდა, როგორიც არის ინგლისი. მასწავლებლების ქადაგებამ გასჭრა და 1895 წელს დაარსდა საკვერცხე ამხანაგობანი, რომელთაც მთელს დანიაში მოჰფინეს თავიანთი განყოფილებანი.

საქმეს ასე აწარმოებენ: ამხანაგობის წევრი კისრულობს ამხანაგობაში კვერცხის მიტანას; კვერცხი უნდა ახლად დადებული იყოს. კვერცხი იკრიფება წევრთაგან კვირაში სამჯერ. ზოგიერთ შეუგნებელ წევრის უხეირო ქცევის თავიდან ასაცილებლად, დაადგინეს, რომ კვერცხზე იბეჭდებოდეს წევრის და ამხანაგობის ადგილობრივი განყოფილების ნომერი. თუ კვერცხი ლაყე, გაფუჭებული გამოდგა, ხელად შეიტყობენ, ვინ მოიტანა იგი და პატრონს დააჯარიმებენ. ამრიგად, წევრი არას დროს არ ისურვებს ცუდი კვერცხის მიტანას ამხანაგობაში.

რაკი საქმე ასე წაიყვანეს, საქონელი ხელად გამოკეთდა, კვერცხი ახალი იყიდებოდა და უფრო მსხვილიც: ამ 15 წლის წინად დანიურ კვერცხის საშუალო წონა უდრის 48 გრამს (ჩვენებურ კვერცხის წონა), ამ ჟამად კი პირველ ხარისხოვან კვერცხის წონა 69 გრამია, ხოლო მეორე ხარისხოვანისა—60 გრამი. რასაკვირველია, კვერცხის ფასმაც იმატა: 1903 წელს დანიური კვერცხი იყიდებოდა თითო სამ კაპეიკ ნახევრად, გერმანული მხოლოდ ორ კაპეიკ ნახევრად, რუსული კი—ორ კაპეიკად!

ეს ამხანაგობანი ერთმანეთს უკავშირდებიან და საერთოდ აწარმოებენ საქმეს. ამისთანა დიდ კავშირს აქვს 8 მთავარი საწყობი ნავთსადგურიან ქალაქებში, საიდანაც ყუთებში ჩალაგებული კვერცხი იგზავნება გემებით უცხო ქვეყნებში, უმთავრესად ინგლისში. მარტო ამ ერთ კავშირს გააქვს მეხუთედი იმისა, რაც კი დანიიდან უცხო ქვეყანაში კვერცხი გადის. ეს კავშირი, აი, კიდევ რასა შვრება: გაზაფხულზე კვერცხი იაფია, შემოდგომა-ზამთარში ძვირი. კავშირს აქვს საგანგებოდ მოწყობილი კვერცხის შესანახი ადგილი. გაზაფხულის კვერცხს ინახავენ კირიან წყალში ღვინობისთვემდე (თითქმის ნახევარ წელიწადს). შემოდგომაზე, რაკი კვერცხი გაძვირდება, კავშირი ჰყიდის კარგ ფასში. ახლა წევრებმა როგორღა მოითმინონ თითქმის ნახევარი წელიწადი, სანამ კვერცხი გაიყიდებოდეს? კავშირმა იცის ეს და ფულს ყოველ კვირა აძლევს წევრთ, თუმცა კვერცხი ჯერ გაყიდული არ არის. საჭირო ფულს კავშირი სესხულობს და ყველა ნდობით და სიამოვნებით აძლევს, რადგან ჯერ ერთი, კავშირი საქმეს ძალიან ფრთხილად და გონივრულად აწარმოებს, მეორე—თუ მაინცა და მაინც გაკოტრდა, წევრები ხომ მთელ თავიანთ ქონებით აგებენ პასუხს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის. ამ პასუხის მგებლობის წყალობით ფულიან კაცებს არასდროს არ დაეკარგებათ ამხანაგობაზე გაცემული ფული.

1903 წელს დანიამ ინგლისში შეიტანა მხოლოდ კვერცხი 15 მილიონ მანეთისა. საკვერცხე ამხანაგობა იყო 365 და ჰყავდა 22 ათასი წევრი. ამ ჟამად დანიაში 800 ამხანაგობაა, სადაც 70 ათასი წევრია. რაც კი დანიას ინგლისში კვერცხი შეუზიდნია, იმის ორი მესამედი ამ საკვერცხე ამხანაგობის შეზიდულია.

პაწია დანიის მაგალითს წაჰბაძა დიდმა გერმანიამ და კარგადათ მოაწყო საქმე. საკვერცხე ამხანაგობანი გერმანიაში დაარსებულნი არიან თანახმად კანონისა შესახებ „ამხანაგობათა სრულ განუსაზღვრელ პასუხის მგებლობით“. რა არის ამხანაგობა სრულ განუსაზღვრელ პასუხის მგებლობით? რამდენიმე კაცი ერთდება, პირობასა სდებს შეთანხმებულ, ერთპირ მოქმედების შესახებ. უმეტეს ნაწილად მათ საჭირო თანხა არ მოეპოვებათ მოქმედებისთვის. ფულის საშოვნელად უნდა მიმართონ შეძლებულ კაცს, რომელსაც თავისუფალი თანხა აქვს. მაგრამ ფულიანი კაცი სესხს უბრალოდ როდი გასცემს, მან უნდა იცოდეს დაუბრუნდება გაცემული ფული თუ არა. საჭიროა ამხანაგობას თავმდები ჰყავდეს ვინმე ან და ქონება ჰქონდეს, რომლის შემწეობითაც შეეძლოს ვალის გადახდა, თუ იზარალა ან გაკოტრდა გამგეობის უხეირო მოქმედებით ან წევრთა დაუდევრობით. თითეულ წევრს აქვს მიწა, იარაღი, საქონელი და სხვა, რომელიც კაი თანხას შეადგენს, ბევრჯელ 20-30 თუმანს. აი, ამ ქონების გამოყენება შეუძლიან ამხანაგობას. წევრნი ერთმანეთში პირობის ქაღალდსა სდებენ ან წესდებას სწერენ და შიგ იხსენიებენ, რომ წევრნი ამხანაგობისა პასუხს აგებენ თავიანთ ქონებით, თუ ამხანაგობას ფული დააკლდა რაიმე მიზეზით (იზარალა და სხვა). ამას ეტყვიან პასუხის მგებლობას ამხანაგობის ვალდებულობისათვის. ეს პასუხის მგებლობა არის სრული, განუსაზღვრელი, როცა წევრნი პასუხს აგებენ მთელ თავიანთ ავლადიდებით და განსაზღვრული, შეზღუდული, როცა წევრნი პასუხს აგებენ მხოლოდ რაიმე თანხით, ნაწილითა და არა მთელის ქონებით. ამ პასუხის-მგებლობის წყალობით ამხანაგობანი ადვილად შოულობენ ფულს.

გერმანელი მეურნენი ასეთ საქმეში ძალიან ფრთხილად მოქმედებენ, ამხანაგობაში მხოლოდ სანდო, მუშა მეურნეებს იღებენ, გამგეობას სასტიკ თვალყურს ადევნებენ და თანაც სვინდისიერად იქცევიან. ზარალი იქ იშვიათი სტუმარია.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ გერმანიის ამ ამხანაგობათა ნიშანდობლივი თვისება: ამხანაგობა ქირაობს საქმის საწარმოებლად კაცს, განათლებულს და ამ საქმის კარგა მცოდნეს. ის არის ამხანაგობის სულის ჩამდგმელი, მხნე მუშაკი, ხშირად უფრო შორს გამჭვრეტი, ვიდრე გამგეობის წევრნი. მას ეძლევა ჯამაგირი. სამაგიეროდ, მას მუშაობა მოეთხოვება და მუშაობა ახნე და დაუღალავი.

ამ გვარ ამხანაგობას შემუშავებული აქვს თავისი წესები, რომელზედაც იგი ამყარებს მთლად თავის მოქმედებას. ეს წესები სავალდებულოა წევრთათვის და თუ წევრმა დაარღვია რომელიმე მუხლი ამ დადგენილებისა, იგი სასტიკად ისჯება. აი ეს დადგენილებაც:

1. წევრი მოვალეა, რაც კი იმის მეურნეობაში კვერცხი მოიპოვება ჩააბაროს სულ ამხანაგობას. წევრს შეუძლიან დაიტოვოს თავისთვის კვერცხი მხოლოდ ოჯახში სახმარებლად და წიწილების გამოსაჩეკად. ამ დადგენილებით ამხანაგობა თავიდან იცილებს ჩარჩ-ვაჭრების დამღუპველ მოცილეობას, რომელიც ძირს უთხრის იმ ამხანაგობას, რომლის წევრნიც შეუგნებელნი არიან და თავიანთ სარფას თავიანთ ცხვირს იქით ვერა ჰხედავენ. 2. ამხანაგობის საქმის მწარმოებლის მიერ დანიშნულ დღეს წევრი მოვალეა, მიიტანოს მოსაკრეფ ადგილზე ყველა გასაყიდი კვერცხი. კვერცხი მეურნეს აქედან იმავე დღეს მიაქვს მთავარ საწყობში. 3. კვერცხი საბუდრიდან ყოველ დღე უნდა ამოიღონ და ზაფხულობით, ვიდრე ჩააბარებენ ამხანაგობას, შეინახონ გრილსა და ბნელ ადგილას, სადაც სუფთა ჰაერია. 4. ამხანაგობის წევრთათვის მოხერხებულ ადგილებში ირჩევენ კვერცხის მომკრებთ. 5. ყველა კვერცხს უნდა ჰქონდეს ნომერი; ამისათვის ამხანაგობა უფასოდ აძლევს წევრს ბეჭედსა და კოლოფს. 6. გაფუჭებულ კვერცხში პატრონი

*) იხ. „Вѣстникъ сельскаго хозяйства“, N N 3, 6, 7 1909 წ. гл. Эрдели „Торговля яйцами и кооперація“.

შედარებით უკეთესს პირობებშია სამეგრელო. აქაურ დაფენილ ჭალა-მინდვრებში საუცხოვო ღირსების სიმინდი იცის. ადგილის სინოტივისა გამო, სიცხე მაგრე რიგად ვერა ვნებს და თავისუფლად მცენარე იფურჩქნება. სიმინდი მაღალი იზრდება. სიმაღლით საჟენ—საჟენ ნახევრიანია და რამოდენიმე ტაროს ისხავს. აქაურ ტანწერწეტა სიმინდს გვალვა ვერ აშინებს, სამაგიეროდ ძლიერ ეშინიან მას ქარისა. 23 ივლისს ღამე ახალ-სენაკის ახლო-მახლო ამოვარდა საოცარი გრიგალი. ქარის სიძლიერე მეორე დღის დილით გამოჩნდა. ზუგდიდში მისვლის დროს გზის ნაპირებზე საცოდავად გამოიყურებოდა მიწაზედ დაფენილი სიმინდი.

ზუგდიდსა და ახალ-სენაკს შუა ავტომობილები აღარ დადიან. ეს მეტად ცუდი დანაკლისია ამ კუთხისათვის მართალია, წინად ავტომობილით მიმოსვლა არა ნორმალურად სწარმოებდა, მაგრამ ჯერ ერთი ეს უწესოება ცოტა-ოდნად მოწესრიგდა, როდესაც საქმე პრინცესა მიურატის ხელში გადავიდა. მეორე—რაც უნდა იყოს, იმისი თქმა არ შეიძლება, რომ ავტომობილის მოძრაობა მავნებელი და არა სასურველი ყოფილიყო. ჩვენში ყოველგვარ კეთილ საქმეს მალე გაუხმება ხოლმე ფესვები. ძველ ადათსა და წესს ჩვენში მეტი მოტრფიალე ჰყავს და ამიტომაც ზუგდიდსა და ახალ-სენაკს შუა ბევრს ავტომობილით ერთ საათში გაფრენას 6—7 საათი დილიჟნით ჯაყ-ჯაყი ურჩევნია, მეტადრე ორი შაური განსხვავება თუ დაინახა. მედილიჟნეებმაც მიმართეს ხერხს: დროებით მიმოსვლის ფასი დასწიეს, ხალხი თავისკენ გადაიბირეს და როდესაც მომწყობმა ავტომობილის მოძრაობა შეაჩერა, ისევ ძველი ფასები დააწესეს. მედილიჟნეებს მოსარჩლეებიც გამოუჩნდნენ: რა ჰქნან, ბატონო, მედილიჟნეებმაც, შიმშილით ხომ არ დაიხოცებიანო. მედილიჟნეებს ჯვარი სწერიათ, მაგრამ საწყალი დილიჟნის ცხენები რომ იხოცებიან, ეს მართალია იშვიათი დღეა, რომ ოთხფეხი არ გაიშხლართოს შუა გზაზე. როგორც ჩუზიანის გასწორებაა შეუძლებელი, ისე მედილიჟნეების ჭკუის სწავლება. ვერ გაუგია ადამიანს, რამდენი კაცის ადგილია დილიჟანში—რვის, თექვსმეტის თუ ოცდა ოთხის! ეს ალბად მუშტრის ბარაქაზედაა დამოკიდებული. სიხარბე იქამდე მიდის, რომ მზად არიან, მგზავრი დილიჟნის ბორბალზედაც დასვან, თუ მგზავრი თავ-განწირული გამოდგა და უარი არ განაცხადა. მიერეკებიან გადალასლასებულს ცხენებს, ავსებენ თავით-ბოლომდე დილიჟანს, იხრიალებენ ფულებს ჯიბეში და თან გაიძახიან, თუ ასე არ მოვიქეცით, შიმშილით დავიხოცებითო!.. ოდონდაც, ოდონდაც!.. ამ რიგად რამდენიმე მედილიჟნის თვითნებობას ზვარაკად შეეწირა დანარჩენთა სიამოვნება. ხალხი თითონ აყენებს თავის თავს ზიანს და უსიამოვნებას, მაგრამ ვინ არის, რომ შეაგნებინოს მას ეს მდგომარეობა?!.

**ჯაფარ—ფაშა.**

—

**დიდი თონეთი**. აქეთ პური გაიჭირა. მაგრამ წლევანდელი მოსავალი ძლიერ ნაკლებია, რადგან გაზაფხულის გვალვებმა მიწის პირზედვე მოუსპო დღე ჭეჭილს. თივაზე ხომ სულ არა ითქმისრა. დადის ხალხი სხვა და სხვა სოფელში და მეველს შესთხოვს, აბარებს საქონელს ზამთარში გამოსაკვებად. თითქმის ტფილისიდან დაწყებული ვიდრე წალკამდე (ბერძნები არიან) მოსავალი ძლიერ ცუდია. წალკაში პურის მოსავალს აქებენ, თავისას-კი არა.

თონეთში 500 კომლზე მეტია. მცხოვრებნი ქართველები და სომხები არიან. ქართველი მომეტებულია. სოფელი დაბანაკებულა ერთ პატარა გორაკის ძირშემო. აქ ხალხის ერთად-ერთ წყაროს ცხოვრებისას შეადგენს პურისა და თივის მოსავალი. ესენი ისე არ მისდევენ სხვა და სხვა მოქირავნეობას, როგორც მათი მეზობელი რუსები (პრიუტელები და მანგლისელები), რომელთაც ცხენის დროგები აქვთ და მუდამ ჟამს გზას აგრიან.

ვერავინ ვერ წარმოიდგენს, რომ აქ სკოლა არ იყოს. აგერ ოთხი წელიწადია, რაც აქაურებს სკოლა მოუსპოთ. სოფელში უკანასკნელი 200 ბავშვია სასკოლო ჰასაკისა. აქ დიდი ხანია წერა-კითხვის საზოგადოებას ჰქონდა სკოლა, რომელსაც კარგი ნაყოფი მოჰქონდა აქაურებისთვის. უკანასკნელ მასწავლებლის აგლაძის მეუღლის მეოხებით ბევრს აქაურ სკოლაში მოსიარულე ქალს უსწავლია ჩუქების ქსოვა, კანვისა და ბალიშების კერა და სხვა. დღეს ამას მოზრდო თაობა მოკლებულია. მიზეზი? მოძრაობის დროს მასწავლებელი წასულა. ხალხს სკოლის წინააღმდეგ სრულებით არა ჰქონიათ-რა. ოდესმე სკოლის არსებობას მოწმობს კიდევ ბიბლიოთეკის ზოგიერთი წიგნაკი და სამოსწავლო სახელმძღვანელო სურათები. შარშან სოფელს მიუმართავს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, სკოლა გაგვიხსენითო ადგილობრივი მღვდელიც სცდილობს სკოლის გახსნას, მაგრამ რა ტიპისა იქნება ეს სკოლა, ჯერ არ ვიცით. მხოლოდ სოფელს აღუთქვამს მოსასახური და შეშა.

კარგი იქნებოდა, ისევ წ.-კ. საზოგადოებას მიექცია ამისათვის ყურადღება და აღედგინა ძველი ნაამაგარი, დღეს კი დაცემული სკოლა და მითი გაეღოცხლებინა ხალხის გული და დაეკმაყოფილებინა ბავშვების დიდი მოთხოვნილება. **კოტე ფასანაურელი.**

# სპარსეთი

**რუსეთის ახალი ელჩი.**

როგორც ვიცით, რუსეთმა თავის ელჩად სპარსეთში დანიშნა პოკლევსკი-კაზელი. ახალი ელჩი 30 ივლისს წავა თეირანსა.

**არდებილისა და ასტარას დაჭერა.**

„რუს. სლოვო"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „აქ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ გამართული იმის თაობაზე, რომ რუსის ჯარი გაიგზავნოს ქალ. არდებილსა და ასტარას დროებით დასაჭერათო. რუსის ჯარი იმ შემთხვევაში დაიჭერს ამ ქალაქებს, თუ სპარსეთის მთავრობის ჯარი ამ ორიოდე დღეშივე არ განდევნის ამ ქალაქებიდან ყაჩაღ შახსევენებსაო.

**სომხების დეპუტატები.**

ქალ. რეშტში მცხოვრებ სომხებს წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა სპარსეთის მეჯლისში თავის წარმომადგენლად აირჩიოს იოსებ მირზაიანცი. სომხები შუამდგომლობენ, რომ მათ სამი ადგილი დაუთმონ მეჯლისში

**ბოიკოტის მოსპობა.**

„კასპი"-ს ატყობინებენ ახტარიდან: რუსის საქონლის ბოიკოტი გათავდა: ჩაიხანები გაიღეს. ასტარა-არდებილის გზაზე მიმოსვლა განახლდა. ჩრდილოეთ სპარსეთის სრულს დამშვიდებასა და წესიერ ალებ-მიცემობას მხოლოდ შახსევენებისა და ახარელების ყაჩაღობა უშლის ხელსა.

**ეფრემის აზრი.**

თეირანის დროებითმა პოლიცმეისტერმა ეფრემმა გამოუცხადა მთავრობას: რაკი სიკვდილით დაისაჯნენ რეაქციონერების მეთაურები, რომლებიც არეულობის მოხდენას აპირებდნენ, დარწმუნებული ვარ, რომ თეირანში სრული მშვიდობიანობა დამყარდებაო.

# ოსმალეთ-საბერძნეთის უთანხმოება

ხელად გამწვავდა ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობა. საქმე ისე წავიდა, რომ ბერლინელ დიპლომატებს შესაძლებლად მიაჩნიათ შეტაკება ოსმალეთსა და საბერძნეთს შორისო.

უსკუბიდან და სალონიკიდან ბერლინში ცნობა მიიღეს, რომ ოსმალეთი გაჩქარებით ემზადება საომრადაო.

ოსმალეთის ელჩი საბერძნეთში უვადოდ დასასვენებლად დაეთხოვა თავის მთავრობას. გერმანელ დიპლომატებს ეს ამბავიც ომის მომასწავებელ ნიშნად მიაჩნიათ. გერმანული გაზეთები გამოსთქვამენ იმედს, რომ სახელმწიფოები მოქმედების სრულს თავისუფლებას მისცემენ ოსმალეთსო.

სალონიკის ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა მოსთხოვა მთავრობას: ბერძენი აფიცრები და მოხელენი განდევნეთ კუნძულ კრიტიდან, იქაურ ფოსტაში ოსმალური მარკები შემოიღეთ, კუნძულზე ოსმალეთის ბაირაღი გააშლევინეთ და 50 ბატალიონი ჯარი ჩააყენეთო. კომიტეტი აცხადებს, თუ სამინისტროს არ შეუძლიან ამ მოთხოვნილების განხორციელება, მაშინ კომიტეტი თითონ შეასრულებს მათ ჯარის შემწეობითაო.

კრიტეს საქმის გამო სტამბოლშიაც გაძლიერდა მთავრობის წინააღმდეგი აგიტაცია.

ქალ. მონასტირში ალბანელებმა დიდი კრება მოახდინეს კრიტეს საქმეზე მოსალაპარაკებლად. კრებამ, რომელსაც 40,000 კაცი დაესწრო, დაადგინა: თუ მთავრობა ვერ ჩაჰშლის კრიტეს შეერთებას მაშინ საბერძნეთთან, მაკედონელები საბერძნეთის საზღვარს გადალახავენო. კრების მომწყობმა კომიტეტმა ტელეგრაფით შეატყობინა ეს დადგენილება სამინისტროს და დაუყონებლივ პასუხი მოსთხოვა დიდ ვეზირს

ხილმი-ფაშამ თავი დაანება მინისტრთა საბჭოს სხდომას და ტელეგრაფის სადგურზე წავიდა კრების კომიტეტთან მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკებამ ერთ საათამდე გასტანა.

ხილმი-ფაშა დაჰპირდა კომიტეტს, რომ მთავრობა გაბედულ ღონისძიებას მიიღებს კრიტეს შეერთების წინააღდეგო. ამ მოლაპარაკების შემდეგ, დეპეშების გზავნა მონასტირისაკენ შესწყვიტა. ამზადებენ აგრეთვე დიდი კრებებს სალონიკსა, ბრუსასა და ანგარაში. ეს კრებებიც პროტესტს გამოუცხადებენ მთავრობას კრიტეს საქმის თაობაზე.

კრიტელი მუსულმანები ოსმალეთში გარბიან; მათ აკლებისა ეშინიანთ.

სტამბოლელი ვაჭრები, გულმოსულნი კრიტეს საქმის გამო, ითხოვენ ბერძენ-ნოქრებს.

სალონიკის ვილაეთში 19 სოფელმა უარი გამოუცხადა მთავრობას გადასახადების მიცემაზე.

# ოსმალეთის ამბები

**ფერიდ-ფაშა.**

როგორც უკვე ვიცით, შინაგან საქმეთა მინისტრი ფერიდ-ფაშა სამსახურიდან გადადგა და მის მაგივრად დაინიშნა დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტი ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის გავლენიანი წევრი თალაათ-ბეი.

ხმა დადის, ვითომ დიდი ვეზირი ხილმი-ფაშაც გადადგა სამსახურიდანაო.

**საუბარი შევკეთ-ფაშასთან.**

„კასპი"-ს კორესპონდენტს ახმედ-ბეგ-აღაევს უნახავს მახმუდ-შევკეთ-ფაშა და ბევრ საგანზე უსაუბრნია მასთან.

— ოსმალეთის კონსტიტუციას ხომ საფრთხე არა მოელის-რა?— უკითხავს კორესპონდენტს.

— არა, არ მოელის!—სწრაფად მომიგო ფაშამ. კონსტიტუციისთვის საშიში იყო მხოლოდ აბდულ-ჰამიდი. რაკი ის თავიდან მოვიშორეთ, კონსტიტუცია უზრუნველყოფილად ჩაითვლება.

— ოსმალეთის გარე მდგომარეობაზე რაღასა ჰფიქრობთ? შიში ხომ არა არის-რა?

— შიში მაშინ გვექნებოდა, ჩვენ რომ ან ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო, ან მეზობელ წვრილ სახელმწიფოთა კავშირი დაგვემუქრებოდა. მაგრამ დიდი სახელმწიფოები მეგობრულად გვიცქერიან, ამიტომ მათი არ გვეშინიან, ხოლო მეზობელ წვრილ სახელმწიფოთა კავშირი ჯერჯერობით შეუძლებელია; თითოთითოდ-კი ამ პატარა სახელმწიფოებისა არ გვეშინიან, მალე მოვერევით ყოველ მათგანს. მაგრამ ჩვენ უთუოდ გვჭირია ერთს წელიწადს მაინც მშვიდობიანობა, შესვენება შინაური საქმეების მოსაწყობად, ერთი წლის [illegible] ალარ იქნება [illegible] დიდი სახელმწიფოებ[illegible] ფოთა კავშირი. სულ ერთად-ერთი წელიწადი გვჭირია!... აბა შეხედეთ ფონ-დერ-გოლც-ფაშა სულ 8 დღეა, რაც მოვიდა სტამბოლში და ამ ცირე ხანში ჩვენ მეტი გავარიგეთ, ვიდრე აბდულ-ჰამიდის დროს ორს წელიწადში გავარიგებდით. მაშინ რომ სულთნისაგან ბრძანება გამოგვეტანათ ამა თუ იმ რეფორმის განხორციელების შესახებ, უნდა მიგვემართნათ მთავრობისა, სახელმწიფო საბჭოსა და სულთანის ურიცხვ მდივნებისა და ადიუტანტებისთვის და ბოლოს და ბოლოს მაინც საეჭვო იყო, მიიღებდით ამ ბრძანებას თუ ვერა! ეხლა-კი ჩვენ თავისუფალნი ვართ და რისაც გადავწყვეტთ, მაშინვე ვასრულებთ.

— როგორია ოსმალეთის შინაგანი მდგომარეობა? შესაძლებელია კიდევ უწესოება?

— ყოველ უწესოებას უმოწყალოდ, უყოყმანოდ დავთრგუნავთ. ამიერიდან უწესოება აღარ მოხდება ჩვენში.

— პარტიათა შორის განხეთქილება რომ კიდევ არსებობს? განა არ შეიძლება შეთანხმება მოახდინოთ?

— გადაჭრით გიცხადებთ, რომ შეთანხმება შეუძლებელია, რადგან ეს განხეთქილება დამყარებულია ზოგიერთების პირად! დაუკმაყოფილებელ თავმოყვარეობაზე. ისინი მხოლოდ მაშინ დაწყნარდებიან, როდესაც მთავრობის ძალას ჩაიგდებენ ხელში, ეს-კი შეუძლებელია, თომნებმა უნდა კარგად შეიგნონ ესა და იარაღად არ გაუხდნენ სახელისა და პატივის მოყვარე კაცებს; და თუ ოსმალეთის ხალხი მაინც სათამაშოთ ბურთად დარჩება ამ გულზვიად პოლიტიკოსების ხელში და ახალ-ახალ არეულობას მოახდენს,—ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ხალხი დაღუპვისა და სიკვდილის გზაზე დამდგარა და თუ ვინმე თითონ მოინდომებს სიკვდილს, მას თვით ღმერთიც ველარ იხსნის!

— რა აზრისა ხართ სპარსეთზე?

— გულწრფელად მიხარიან, რომ მონათესავე და მეგობარმა მეზობელმა ერმა თავიდან მოიშორა გიჟი მტარვალი და თავისუფლება იშოვა!

---

იხდის ჯარიმას, თითოში ხუთ შაურს. საბუდრად უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ფაიფურის კვერცხი, რომლის ყიდვა შეიძლება ამხანაგობაში. 7. კვერცხი მიიღება წონით. 8. ერთ გირვანქა კვერცხის ფასს გამგეობა აწესებს ყოველ თვის ბოლოს. აღებული ფული. ხარჯის გამოკლებით უნდა გადაეცეს ადგილობრივ განყოფილებებს, სადაც კვერცხები გროვდება, წევრებში დასარიგებლად. ფული უნდა გადაეცეს არა უგვიანეს მომდევნო, მეორე თვის შუა რიცხვებისა. 9. თვითეულ წევრს ეძლევა ამხანაგობიდან წიგნაკი, რომელშიაც კვერცხის მიმღები სწერს მიტანილ კვერცხის წონას. 10. თუ წევრს დაუმტკიცეს, რომ მან კვერცხი უცხოზე გაჰყიდა, მაშინ ჯარიმას ახდევინებენ ერთს თუმანს. თუ კიდევ მეორედ დაუმტკიცეს ამისთანა საქციელი, ან 15 მან. ჯარიმას გადაახდევინებენ, ან და ამხანაგობიდან ითხოვენ. 11. მოტანილი კვერცხი უნდა სუფთა იყოს.*) კვერცხის მიმღებნი პასუხს აგებენ გათხუპნულ კვერცხებისათვის, მათ დავალებული აქვთ არამც და არამც არ მიიღონ ჭუჭყიანი კვერცხები 12. მოტანილ კვერცხის წონა უნდა იყოს თითოს 1 ენკენისთვიდან—1 მარტამდე არანაკლებ 45 გრამისა, ხოლო 1 მარტიდან—1 ენკენისთვემდე 55 გრამისა. თუ კვერცხი ნაკლებს იწონის, იგი არ მიიღება.

ეხლა ვნახოთ, როგორ ასრულებენ ამ დადგენილებას ცხოვრებაში. კვერცხის მოსაგროვებლად, ჩასაბარებლად დანიშნულია რამდენიმე ადგილი. კვერცხის მომგროვებელთ ან თვითონ ირჩევენ წევრები თავიანთ წრიდან ან ეს უფლება ეძლევა საჯარო ვაჭრობით; ამხანაგობათა უმეტესი წილი აძლევს კვერცხის მომგროვებელთ თითოგირვანქა კვერცხში ნახევარ კაპეიკს. ამ ფასში მოვალეა ასწონოს მოტანილი კვერცხი, ჩასწეროს წონა კვერცხისა თავის სიაში და წევრის წიგნაკში. თვის ბოლოს ანგარიშის გასასწორებლად ამკრეფი უგზავნის მთავარ საწყობს სიას მასთან მოტანილ კვერცხისას.

მიღებული კვერცხი მომკრეფმა უნდა გადასინჯოს თითო თითო სინათლეზე, საგანგებო იარაღით-ოვოსკოპით. ოვოსკოპი უბრალო ლამფაა, რომლის შუშასაც ჩამოცმული აქვს თუნუქის ცილინდრი. ამ ცილინდრს ორ მხრივ აქვს ამოჭრილი ადგილი. ამ ადგილზე მიიტანენ კვერცხს და სინათლეზე გასინჯავენ. ერთად-ერთი საშუალებაა კვერცხის სიახლის გამოსაცნობად. მიჩვეული კაცი სწრაფად მუშაობს. კვერცხის სინათლეზე გასირჯვა ძალიან სარფაა ამხანაგობისათვის. კვერცხის სინათლეზე გასინჯვა მიღებულია გერმანიისა და დანიის ყველა ამხანაგობაში და მრავალ კერძო მოვაჭრეებს შორისაც. გასინჯვა იმიტომაა საჭირო, რომ ახლად დადებული კვერცხიც კი განირჩევა. ზოგი დიდხან ინახება უცვლელად, ზოგი კი მალე ფუჭდება. შემჩნეულია, რომ გაუნაყოფიერებელი კვერცხი უფრო გამძლეა შენახვის დროს და ამიტომ ურჩევენ მეურნეებს, შემოდგომაზე ქათმებს მამლები მოაშორონ. მამლების მოშორებისას ქათმები ისევე სდებენ კვერცხს, როგორც უწინ. სინათლეზე გასინჯვით კვერცხის სიავ-კარგეს ასე ტყობილობენ: თუ კვერცხის ცილა და გული მოშავოა, ეს იმის უვარგისობას ნიშნავს. კვერცხის განიერ ბოლოში რომ ცარიელი ადგილია, იმაზე გამოიცნობენ კვერცხის სიახლე სიძველეს: თუ ეს ფუყი ადგილი დიდია და კვერცხის ჭუჭას შიგნით კანზე შავი ლაქები აქვს, კვერცხი ძველი ყოფილა. ამისთანა კვერცხს იწუნებენ. სრულებით უვარგისია ისეთი კვერცხი, რომლის ცილა და გული ადვილად გადი-გადმოდის. კვერცხს, რომელსაც სისხლი ურევია ცილაგულში, ამხანაგობა სწუნობს, იმიტომ კი არა, რომ ცუდია, არამედ მხოლოდ მუშტრის პატივსაცემლად. სისხლნარევი კვერცხი სინათლეზე კარგადა სჩანს. ამაში ჯარიმას არ იხდის წევრი. კვერცხს რომ სინჯავენ, არ უნდა დაიწუნონ მუქ კანიანი, ჭუჭყიანი კვერცხი. ხშირად მუქ-კანიანი კვერცხი ჰგონიათ მუქშინაგანიანი და სწუნობენ. წარმოიდგინეთ, რომ ინგლისელები მუქკანიან კვერცხს უფრო ეტანებიან, ვიდრე ბაც კანიანს, (ასოც ასეთ კვერცხში 24 კაპეიკით მეტს იძლევიან, ვიდრე ბაც კანიანებში). იმასაკ ამბობენ, რომ მუქ-კანიან კვერცხს უფრო მეტი გემო და სურნელება აქვს. უფრო დასაჯერებელია, რომ მუქ-კანიანი სქელია და კვერცხი დიდხანს ინახება. გერმანიის ამხანაგობანი კვერცხის ფერს არ დასდევენ. კვერცხის გასინათლვა შეიძლება უბრალო ლამფის შემწეობითაც, ისევე როგორც მზეზე ისინჯება ჩვენში. სინათლეზე გასინჯვა სწრაფად სწარმოებს, ასე რომ ერთს კაცს შეუძლიან ერთის საათის განმავლობაში ასწონოს, ჩასწეროს და გადასინჯოს 2 ათასი კვერცხი.

რაკი მომკრეფი კვერცხს მიიწონის, ჩასწერს და გადასინჯავს, ჩააწყობს ყუთში: ამხანაგობას ჰყავს თავისი მეურმე, რომელიც დაუვლის ხოლმე ყველა განყოფილებას და კვერცხი ყუთებით მოაქვს მთავარ საწყობში. მთავარ საწყობში კი კვერცხებს ხარისხებად ჰყოფენ და ხელ-მეორედ სინჯავენ სინათლეზე. კვერცხებს ისევ ყუთებში აწყობენ, ამ ყუთშივე სდებენ ქაღალდს, სადაც სწერია ვინ ჩაალაგა კვერცხი ყუთში, მისი გვარი და სახელი და დღე-რიცხვი. თუ მუშტარისაგან საჩივარი მოვიდა, პასუხს აგებს კვერცხის ჩამწყობი და კვერცხის პატრონი, რომლის პოვნაც ძალიან ადვილია კვერცხზე აღნიშნულ ნომრის შემწეობით.

ბეჭედზე, რომელსაც ჩვეულებრივ კვერცხებს ადებენ, ამოჭრილია ამხანაგობის ნიშანი და წევრის ნომერი. ამის წყალობით ადვილად შეიძლება კვერცხის პატრონის პოვნა.

ასეა მოწყობილი კვერცხის ვაჭრობის საქმე გერმანიაში. რათა უფრო ნათელი იყოს ამხანაგობათა მოღვაწეობა, მოვიყვანოთ წლიური შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა ერთ ამხანაგობისა, რომელიც ვიფელსტედში არსებობს 1899 წლიდან.

ამხანაგობის სამოქმედო რაიონი უდრის 12 ვერსს. რკინის გზის სადგურს დაშორებულია 6 ვერსით. ამ რაიონში სცხოვრობს 3000 კაცი, რომელნიც აქა-იქ არიან გაფანტულნი (გერმანიაში ჩვენებურ სოფლების მსგავს ვერა ნახავთ, იქ ხალხი გაფანტულა და ცალკ ცალკე სცხოვრობს). 1907 წელს ამხანაგობას ჰყავდა 512 წევრი, ჰქონდა 20 განყოფილება კვერცხის შესაგროვებელი ადგილი, სადაც წევრებმა მიიტანეს 2.356.000 კვერცხი, წონით 153,688,5 კილომეტრი (კილომეტრი უდრის ჩვენებურ $2^1/_2$ გირვანქას). თითო კვერცხი ორთაშუა იწონიდა 61 გრამს. ჩაბარებული კვერცხი ამხანაგობამ გაჰყიდა და აიღო 86,202 მანეთი. თითო კვერცხის ფასი საშუალოდ უდრიდა $3^1/_2$ კაპეიკს. თითო კვერცხის გაყიდვაზე გაწეული ხარჯი უდრიდა კაპეიკის მეოთხედს. ხარჯის გამოკლებით წევრს მიეცა თითო კვერცხში სამი კაპეიკი და ერთი-მეოთხედი ანუ ოთხ კვერცხში 13 კაპეიკი.

ამხანაგობამ თავისი მოქმედება თან და თან გააფართოვა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1901 წ. | გაჰყიდა | 677,031 | კვერცხი |
| 1902 „ | „ | 1118,690 | „ |
| 1903 „ | „ | 1282,590 | „ |
| 1904 „ | „ | 1391,184 | „ |
| 1905 „ | „ | 1647,460 | „ |
| 1906 „ | „ | 2.012,860 | „ |
| 1907 „ | „ | 2.356,800 | „ |

კვერცხის ფასი წლითი-წლობით მატულობდა. 1901 წლის ერთი კვერცხი იყიდება 5,44 ფენინგად, 1907 წელს კი—6,60 ფენიგად; ფასმა იმიტომ იმატა, რომ კვერცხი გაუმჯობესდა, კვერცხი დამსხვილდა; 1901 წელს კვერცხის წონა საშუალოდ უდრიდა 57,8 გრამს, ხოლო 1907 წელს იგი 61 გრამამდე ავიდა. საქონელი გაუმჯობესდა და ფასმაც იმატა.

ამხანაგობის ქონება აი რა იყო 1907 წელს: 512 წევრის მიერ შეტანილ გადასახადით (თითო წევრი იხდის წელიწადში ათ შაურს) ამხანაგობას ნაყიდი აქვს 1200 ყუთი კვერცხის გასაგზავნად, ღირებული 3000 მანეთამდის. აქვს ახლად აგებული მშვენიერი სახლი, სადაც მოთავსებულია მთავარი საწყობი-აქედან იგზავნება გასასყიდად კვერცხები აქვს ამავ სახლს სარდაფიც. ეს შენობა ამხანაგობას დაუჯდა 6,700 მანეთად. ამ შენობის ვალის მესამედი ამხანაგობამ პირველსავე წელს გაისტუმრა საქმის მწარმოებლის მხნე მოღვაწეობის წყალობით. საინტერესოა ამხანაგობის ხარჯიც:

| | |
|---|---|
| 1. საქმის მწარმოებელს ($2^0/_0$ მთელ შემოსავლიდან) . . . . . | 1500 მან. |
| 2. კვერცხების მომგროვებელს | 280 „ |
| 3. კვერცხის ჩამწყობ-ჩამლაგებელს | 450 „ |
| 4. მეურმეს კვერცხის მიტანაში | 900 „ |
| 5. იარაღის შეკეთება . . . | 225 „ |
| 6. შუამავლებს სხვა და სხ. ქალაქში | 1350 „ |
| 7. სხვა და სხვა ხარჯი . . | 405 „ |
| სულ | 6600 მანეთი. |

იმავ 1907 წელს შენობების და ინვენტარის აღსადგენად გადასდეს 1150 მანეთი. საზოგადოდ, ნავარაუდევი აქვს ამხანაგობას, რომ ხარჯი უდრის საერთო შემოსავლის $10^0/_0$-ს.

ეს არის მოკლე ამბავი ერთ პატარა ამხანაგობისა. დანარჩენი ამხანაგობანიც ასე მუშაობენ და ილვწიან თავიანთ წევრთა სასარგებლოდ.

როგორც უკვე აღვიშნეთ, ყველგან, სადაც კი ამხანაგობა იკიდებს ფეხს, კვერცხი უკეთესდება და მეტადაც ფასობს. ეს ამხანაგობანი კვერცხს საზღვარ-გარედ როდი ეზიდებიან: რაც კვერცხი აქვთ, სულ შიგ გერმანიაშივე იყიდება. წინად ამხანაგობანი უმეტეს ცალ-ცალკე მოქმედობდნენ, ეხლა კი გამოცდილებამ და ცხოვრებამ ნათლად დაანახვათ შეკავშირების საჭიროება. გერმანიის ამხანაგობები ამ ჟამად შეკავშირებულნი არიან. მათ აქვთ მთავარი საწყობი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

ამხანაგობანი მარტო კვერცხების გა-

*) კვერცხს სწმენდენ განელებულ ძმარწყლით, სასტიკად აკრძალულია კვერცხის გარეცხა საპნით ან სოდით.

ეხლა სპარსელებმა კეთილ-გონიერება და ზომიერება უნდა გამოიჩინონ. მათ მხოლოდ საკუთარის ძალის იმედი უნდა იქონიონ, ყველანი უნდა შეერთდნენ და მამულის სიყვარულით აღფრთოვანებულნი შეუდგნენ შინაგან რეფორმებს. სპარსელების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ჩვენსაზე. იქ თითქმის ერთნაირი ხალხია და ეგრეთ წოდებული შინაგანი ეროვნული საკითხები არ არსებობს.

— გარეშე საქმეები?

— სპარსეთის გარეშე მდგომარეობაც უფრო ცხადი და გამორკვეულია, ვიდრე ჩვენი. ოსმალეთის ჯარი უთუოდ გამოვა სპარსეთიდან; ამაზე სპარსელებს ფიქრი ნუ ექნებათ. ვფიქრობ, რომ რუსებიც წავლენ. რა უნდა გავარიგოთ სპარსეთში ჩვენ თუ რუსებმა?

## რევოლუცია ესპანიაში

**ტყუილი ხმა.**

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ ესპანიიდან: ის ხმები, ვითომ რევოლუციონერები უდივრად ექცეოდნენ—თავიანთ მოწინააღმდეგეებს,—ცხადი ტყუილია. ამ ხმებს განგებ ავრცელებენ რეაქციონერები იმ აზრით, რომ ევროპიელ საზოგადოებას შეაზიზღონ რევოლუციონერები.

პირიქით თითონ მთავრობა იჩენს სასტიკ სისასტიკეს. ბარცელონის მოსამართლეების გულქვაობამ მთელი ესპანია შეზარა, ბარცელონაში სრულიად უდანაშაულოებს ასობით გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მოსამართლეებმა დედა-კაცებიც კი არ დაინდეს. იქნება ასეთმა სისტიკობამ უფრო გააძლიეროს რევოლუცია.

## უცხოეთი

**საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.**

გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ მეზღვაურები, გემების გამთბობები, ყასაბხანის მუშები და მესაფლავეები. 25 ივლისს გაიფიცნენ გაზისა და ელექტრონის ქარხნების მუშები და ასოთ-ამწყობები. მუშები სამაგალითო წესრიგს იცავენ. გერმანელი სოციალ-დემოკრატები ყოველ კვირას 150,000 მარკას უგზავნიან.

## რუსეთი

✦ **იოლოსის მკვლელი ფედოროვი.** როგორც მკითხველს მოეხსენება საფრანგეთის მთავრობამ რუსეთისას შემოუთვალა, იოლოსის მკვლელ ფედოროვს ვერ გავცემთო. ამის შესახებ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისთვის შემდეგი ნოტა გამოუგზავნია: „ამა წლის 29 აპრილს (12 მაისი) გამოგზავნილ წერილში თქვენმა აღმატებულებამ კეთილი ინება და ხელმეორედ მომმართ ფედოროვის გაცემის შესახებ. მე ყველაფერი იუსტიციის მინისტრს გადავეცი, რომელმაც გადმომცა, რომ ჩემი წინანდელი გადაწყვეტილება შეურყეველია და რუსეთის მთავრობის ახალი საბუთები ვერ შეარყევენ ამ გადაწყვეტილებასო. ამასთან იუსტიციის მინისტრმა დაუმატა, თვით რუსეთის მთავრობის ნოტიდან სჩანს, რომ ვიტტეს მოკვლის განზრახვა და კაზანცევის და იოლოსის მკვლელობა პოლიტიკურის მიზნით ყოფილა ჩადენილი. რუსეთის მთავრობის ნოტაში სწერია „ფედოროვს მიტომ უნდა და ვიტტეს მოკვლა, რომ სურდა ამით სახელი დაემსახურებინა და რევოლიუციონერებში შესულიყო, კაზანცევი კი მიტომ მოჰკლა, რომ ამ უკანასკნელმა ისეთი საქმეები ჩაადენინა, რომლებიც მის, ფედოროვის პარტიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენო". რუსეთის მთავრობა ირწმუნება, რომ ფედოროვის საქმეს საერთო სასამართლო გაარჩევსო, მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ დამნაშავეებს მაინც ვერ გავცემთო პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა მთხოვა გადმოგცეთ, რა და შეწუხებულია, რომ ვერ ასრულებს რუსეთის მთავრობის თხოვნას".

✦ **პროფესიონალური კავშირები.** „რეჩ"-ში ეკატერინოსლავიდან შემდეგი კორესპონდენციაა დაბეჭდილი: პოლიციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი პროფესიონალურ კავშირებს. როგორც სჩანს, არავითარ საშუალებას აღარ ერიდებიან, რომ პროფესიონალურ კავშირების მოქმედება მოსპონ. აი ფაქტებიც. წარსულ წელს გაჩხრიკეს ყველა პროფესიონალური კავშირები. ჩხრეკის შემდეგ დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, და წაიღეს კავშირების ყველა საანგარიშო წიგნები და დოკუმენტები. დაპატიმრებულები მალე გაანთავისუფლეს, მაგრამ საანგარიშო წიგნები და დოკუმენტები კი აქამდისაც პოლიციის ხელშია. კავშირების გამგეობებმა აღარ იციან რა ჰქნან, საანგარიშო წიგნები და დოკუმენტები წაღებულია. აღარ იციან ვინ შემოიტანა საწევრო ფული და ვინ არა, ან თუ შემოიტანეს, რამდენი. ამას გარდა არ იციან ვის რამდენი ასესხეს და თუ ასესხეს, ვადა ხომ არ გასდით მოვალეებს, რომ ფული გადაიხადონ. მხედველობაში ისიც მიიღეთ, რომ საქარხნო ინსპექცია პროფესიონალურ კავშირებს ემუქრება, თუ ამა და ამ ხანში ანგარიშები არ წარმოადგინეთ, თქვენ მოქმედებას შევაჩერებთო. აბა ანგარიშებს კი საიდან წარადგენენ, როდესაც რაც კი რომ დოკუმენტები მოეპოვებოდათ, პოლიციის ხელში. ჩხრეკას და დაპატიმრებას ხომ საზღვარი აღარ აქვს. საქმე იქამდის მივიდა, რომ მუშებს ეშინიანთ პროფესიონალურ კავშირებში ჩაეწერნენ, ან წევრებად დარჩნენ. დოკუმენტების დაბრუნების შესახებ ბევრი იშუამდგომლეს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა კუზნეცოვმა ბევრი შრომა გასწია, მაგრამ ამაოდ. საინტერესოა აგრეთვე კავშირების წიგნსაცავების ბედი. პოლიციამ აქაც მუყაითობა გამოიჩინა და კავშირების წიგნთსაცავებიდან ისეთი წიგნები წაიღო, როგორიც ლერმონტოვის, სალტიკოვის, ტურგენიევისა და სხვა კლასიკების ნაწარმოებია. რით ხელმძღვანელობდნენ ამ შემთხვევაში, ამას მგონი, ვერც ერთი ცენზორი ვერ გაიგებს, წიგნები, როგორც პოლიციამ განაცხადა, „გადასასინჯად" მიაქვთ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ „გადასინჯვა" წლობით გრძელდება".

✦ **ეკატერინოდარის პოლიცმეისტერის თანაშემწის დაპატიმრება.** ამ დღეებში ეკატერინოდარში დააპატიმრეს პოლიცმეისტრის თანაშემწე გოლოვკო და და ორიც სხვა პოლიციელი. მიზეზი ის არის, რომ 1908 წელს გოლოვკოს ბრძანებით მოჰკლეს ორი ძმა უკნეჟენკოები და გერმანიის ქვეშევრდომი ტრუნი. საქმე ამ ნაირად იყო: 1908 წელს, 3 მაისს, გაჩხრიკეს უგნევენკოს სახლი. გაჩხრეკის შემდეგ დააპატიმრეს უგნევენკოს ორი შვილი და სიძე ტურნი. დაპატიმრებულები პოლიციაში წაიყვანეს. აქვე იყო ბოქაული გოლოვკო. შეშინებულმა უგნევენკომ შვილებისა და სიძის ბედის გასაგებად თავისი მესამე შვილი გაგზავნა. მალე ქუჩიდან სროლის ხმა მოესმა, გავარდა სახლიდან, გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი და... შეშინებული შესდგა: მის წინ, მისი ორი შვილი და სიძე უსულოდ ეყარნენ. დახოცილების მამამ და სიმამრმა რამდენიმე ხნის შემდეგ გოლოვკოს უჩივლა, ამ საქმემ სახელმწიფო სათათბირომდესაც კი მიაღწია, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოქაულ გოლოვკოს დასჯის მაგიერ პოლიცმეისტრის თანაშემწეობა მისცეს. ეხლა ხელ-მეორედ თავი ამოჰყო ამ საქმემ და ამ „საქმის" „მთავარი გმირი" გოლოვკო და მისი ორი თანაშემწე დააპატიმრეს. გამოძიებას უკვე შეუდგნენ. (რეჩ)

✦ **კიევის ინტენდანტსტვოში.** „რუსკი სლოვ."-ს კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: „გარინის მიერ გამოგზავნილმა რევიზორმა დ. პ. ბუსლომ კიევის საინტენდანტსტვოს სახლში შემდეგი „საქმე" აღმოაჩინაო. 1904 წელს, შემოდგომაზე, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, კიევის ინტენდანტსტვოს სხვა და სხვა ქარხნებისათვის შეუკვეთია ერთი მილიონი ფაფახი, 600,000 ნაბდის ფეხ-საცმელი და 300,000 ქურქი. მექარხნეებს შეკვეთილი საქონელი შემოდგომაზედვე უნდა წარედგინათ, მაგრამ მექარხნეებს საქონელი გაზაფხულისათვის დაუმზადებიათ, როდესაც ჯარს თბილი ტანისამოსი აღარ ესაჭიროებოდა. ინტენდანტსტვოს მოხელეებს მექარხნეებისაგან ამ „ლგოტისთვის" კარგა ბლომა ფული აუღიათ. რომ ინტენდანტსტვოს მოხელეები კარგა ბლომად ფულებს იღებდნენ ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთი მოხელე, რომელიც თვეში 83 მანეთს იღებდა, წელიწადში 60—70,000 მანეთს ხარჯავდა, ჰქონდა რამდენიმე სახლი, აგარაკები და სხვა.,. და ყველაფერი ეს 83 მანეთად თვეში!!!

✦ **კანონის აღმასრულებელი.** „გოლოს მოსკვ."-ი შემდეგ ამბავს იუწყება: პეტერბურგის ერთ მომრიგებელ მოსამართლეს საქმის გარჩევის დროს ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი წასქდა. როგორც იყო გულ-წასული მოსამართლე საკუთარ კაბინეტში გაიყვანეს. აქ მოსამართლე ცოტა გონზე მოვიდა, მაგრამ სისხლის დენამ უფრო იმატა. სასამართლოში ამ დროს ერთი ექიმი აღმოჩნდა. ექიმი კაბინეტისაკენ გაეშურა, რომ დახმარება გაეწია, მაგრამ მოსამართლემ დახმარებაზე უარი განაცხადა. მოსამსახურეებმა, როგორც იყო, შესძლეს სისხლის შეწყვეტა. ყველა გაკვირვებული იყო, რომ მოსამართლემ ექიმი არ მიიღო და ზოგიერთები შეეკითხნენ. მოსამართლემ შემდეგი უპასუხა:

— კანონით მე უფლება არა მაქვს ჩემ საკუთარ კაბინეტში მომჩივანი ან მოპასუხე მივიღოო, ექიმი კი მომჩივანი იყო.

— მაგრამ თქვენ ხომ ავად იყავით ამ დროს.

— ამის შესახებ კანონში არაფერი სწერიაო, დაამთავრა მოსამართლემ!!

ყიდვას როდი სჯერდებიან. ზრუნავენ აგრეთვე ისეთ ქათმის ჯიშის მოშენებაზედაც, რომელიც ბლომად უნდა იძლეოდეს კვერცხს. სანდო კაცს აძლევენ ათიოდე დედალს და ერთს მამალს ადგილობრივ ან უცხო ჯიშისას, რამდენსამე საცდელ საბუდარს და დავთარს. ამ კაცმა ქათმებს ისევე უნდა მოუაროს, როგორც საზოგადოდ მიღებულია იმ მხარეში. სათუთი მოვლა არ არის საჭირო. ჯილდოდ ეძლევა სამი წლის შემდეგ მოშენებული ფრინველი საბუდრებით. მისი მოვალეობაა, ამ სამი წლის განმავლობაში ყოველ 3 თვეში ერთხელ წარუდგინოს ამხანაგობას, ან ვისაც ჯერ არს, ანგარიში. ამხანაგობას შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახა იყიდოს ერთი წლის შემდეგ მოშენებული ფრინველი, ცალი 3 მანეთად. კვერცხი კი ამ მოშენებულ ფრინველისა უნდა გაიყიდოს ამხანაგობის წევრებზე იმ ფასად, რა ფასადაც იყიდება უბრალო ქათმის კვერცხი. მის გასაგებად, თუ რომელმა ქათამმა დასდო კვერცხი, საბუდარი ისეა მოწყობილი, რომ ქათამს შესვლა თავისთავად შეუძლიან, გამოსვლა კი მხოლოდ პატრონის სურვილით. დადებულ კვერცხების რაოდენობას სწერენ. დრო გამოშვებით კვერცხებს სწონავენ კიდეც. ამ ცნობების შემწეობით ახორციელებენ თავიანთ მიზანს: ქათამს, რომელსაც ბევრი და მსხვილი კვერცხი დაუდვია, ინახავენ, დანარჩენებს იშორებენ თავიდან. მერე ამ ქათმის მონაშენში ისევ არჩევენ უფრო მსხვილ და მრავალ კვერცხის მდებ ქათამს და ასე განუწყვეტლივ. მამლებს, რასაკვირველია, უცვლიან ხშირად.

დასასრულ, მოვიყვანთ ცნობებს ერთ სოფლის შესახებ იმის გამოსარკვევად თუ რა შემოსავალი აქვთ გერმანელ მეურნეთ თავიანთ ქათმებისაგან:

1. 9 დღიურის პატრონი, ჰყავს 30 ქათამი, თითომ საშუალოდ მისცა 137 კვერცხი მთელი შემოსავალი ქათმებისაგან 149 მ. თითო ქათამზე 4 მ. 67 კაპ. თითო ქათმისაგან წმინდა შემოსავალი (ხარჯის გამოკლებით) 2 მ. 65 კაპ.

2. 14 დღიურის პატრონი. წლის განმავლობაში ჰყვანდა 141—157 ქათამი. საერთო შემოსავალი 554 მ. თითო ქათამზე (რომ ვიანგარიშოთ 141 ქათამი) 3 მ. 93 კ., წმინდა შემოსავალი 1 მ. 46 კ. ამისთანა მცირე შემოსავალი აიხსნება გადამეტებულ რიცხვით ქათმებისა, რომელიც სრულად არ შეეფერება მამულის რაოდენობას.

3. 20 დღიურის პატრონი. წლის განმავლობაში ჰყვანდა 226—284 ქათამი. საერთო შემოსავალი 1108 მ. ქათამზე 4 მ. 17 კაპ; წმინდა შემოსავალი 1 მ. 50 კ. (აქ ხარჯში ნაანგარიშებია თანხის ასადგენად გადადებული ფული, ფრინველის მოსაშენებელ ჟურნალის გამოწერის ფასი. საფრინველო საზოგადოებაში საწევრო გადასახადი).

4. საამხანაგო ქარხნის ოსტატი. ბინასთან პატარა ეზო აქვს ჰყვანდა 32-43 ქათამი. საერთო შემოსავალი 126 მ. თითო ქათამზე 3 მ. 94 კაპ., წმინდა შემოსავალი 85 კაპ.

საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ზემოდ აღნიშნული მეურნენი მისდევენ ფრინველის მოშენებას სხვათა შორის, მათი მთავარი ხელობა კი საქონლის მოშენება და მერძეობაა.

როგორც მკითხველი მიხვდება, საკვერცხე ამხანაგობათა ორგანიზაცია არ არის რთული და ძნელი. ჩვენშიაც შეიძლება ასეთ ამხანაგობის მოწყობა, მოთავე რომ იყოს.

**ე. კარბელაშვილი.**

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევა ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—138)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა
**ნუ რყვნით ქალებს!..**
ანუ
**„კაცობრიობის მტერნი"**
შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.
ფასი 65 კაპ.
„დროების" ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской.

**საბუღალტრო კლასები**
**ი. ფონ-ბრენნერისა**
დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაბერეჟნის ქ., ქერის სახლი.
სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასებში ამზადებენ ბუღალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამმებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—6)



Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქს მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—ნ.—58)

1882 г. 1896 г.
ФАБРИЧНО-ТОРГОВОЕ ТОВАРИЩЕСТВО
**А. И. Абрикосова С-вей.**
ФАБРИКИ: Москва и Симферополь.
Розничные магазины въ Москвѣ:
1. Кузнецкій мостъ, пасс. Солодовникова.
2. Тверская, д. Полякова, ряд. съ Ген.-Губерн.
3. У Ильинск. вор., Луб.-Ильин Торг. Пом.
4. Верхніе Торговые ряды.
Оптовый магазинъ и контора: МОСКВА, Лубянскій проѣздъ, домъ Политехническаго Музея.
ОТДѢЛЕНІЯ: С.-ПЕТЕРБУРГЪ, ОДЕССА, КІЕВЪ.

**ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.**
Въ виду появленія въ Москвѣ кондитерскаго магазина подъ фирмою, близкой по наименованію къ нашей, просимъ гг. покупателей, во избѣжаніе недоразумѣній, обращать вниманіе на отличительные признаки нашего Т-ва, всѣ этикеты коего снабжены изображеніями **ГЕРБА ПОСТАВЩИКОВЪ Двора Его Императорскаго Величества и двухъ государственныхъ гербовъ.**
ОТДѢЛЕНІЙ И МАГАЗИНОВЪ **Т-ва А. И. АБРИКОСОВА С-вей,** КРОМѢ ПЕРЕЧИСЛЕННЫХЪ, **БОЛЬШЕ НИГДѢ НѢТЪ.**
Просимъ обращать вниманіе на инициалы: **А. И.**
(Мецль и Ко N 184939) (4—б.—2)

**პროვოდნიკის**
1897 წ. 1888
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т-ВА Р. Ф. З. „ПРОВОДНИКЪ" РИГА
1908 წ.
**ამხანაგობა რიგაში**
სატარიგო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**იყიდება ნარდად და ცალობით:**
დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.
დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;
**რეზინის ღრუბელი;**
**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.